

სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი



სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის სტრატეგიული დაგეგმარების  
წესი

განხილულია აკადემიური საბჭოს სხდომაზე: ოქმი N 16 ; 22.05.2017

აკადემიურისაბჭოს თავმჯდომარე, რექტორი:

ირმა შიოშვილი

თელავი  
2017 წელი

## მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - „უნივერსიტეტი“) სტრატეგიული დაგეგმარების წესი (შემდგომში - „წესი“) წარმოადგენს უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმისა და სამწლიანი სამოქმედო გეგმის დაგეგმვის მეთოდოლოგიურ ინსტრუქციას.
2. სტრატეგიული დაგეგმვა სტრატეგიული მართვის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. იგი ეხმარება უნივერსიტეტს განვითარებისათვის, მიზნების შერჩევასა და მათი მიღწევისათვის გზების დასახვაში.

## მუხლი 2. სტრატეგიული დაგეგმარების ინსტრუქცია

1. საზოგადოებაში უნივერსიტეტის როლის სწორად დანახვა განაპირობებს უნივერსიტეტის მისიის სწორად განსაზღვრას, ეს კი თავის მხრივ, ხელს შეუწყობს სტრატეგიული განვითარების გეგმის სწორად შემუშავებას. სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავება განაპირობებს სამოქმედო გეგმის სწორად განსაზღვრას.
2. უნივერსიტეტის ამოცანების სწორად დასახვის მიზნით აუცილებელ პირობას წარმოადგენს საზოგადოებაში (თელავის მუნიციპალიტეტის/კახეთის რეგიონის/საქართველოს/საერთაშორისო მასშტაბით) უნივერსიტეტის როლის განსაზღვრა, რომელიც თავსებადი უნდა იყოს უნივერსიტეტის მისიით ნაკისრ პირობებთან.
3. იმისათვის, რომ სწორად დაისახოს შემდგომი სტრატეგიული განვითარების გეგმა, აუცილებელ პირობას წარმოადგენს უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული წინა სტრატეგიული განვითარების გეგმის შესრულების შეფასება და ანალიზი (რომლისთვისაც შეიძლება გამოყენებული იყოს მაგ. SWOT ანალიზი/შეფასება / ყოველწლიური თვითშეფასების ანგარიშები, ან, ზოგადად, განვლილი პერიოდის შეფასება).
4. უნივერსიტეტის ახალი გეგმები/ გამოწვევები / მიზნები უნდა დაისახოს წინა სტრატეგიული განვითარების გეგმის SWOT ანალიზი/შეფასების ან/და ყოველწლიური თვითშეფასების ანგარიშების ან/და, ზოგადად, განვლილი პერიოდის შეფასების ანალიზის საფუძველზე.

5. მისიით ნაკისრი პირობების შესასრულებლად აუცილებელია, როგორც საზოგადოებრივი აზრის კვლევა (რას ელის მუნიციპალიტეტის / რეგიონის / ქვეყნის საზოგადოება უნივერსიტეტისგან? და სხვა ), ისე საჭიროებათა ანალიზი.
6. საჭიროებათა ანალიზის შედეგები უნდა აისახოს სტრატეგიული განვითარების გეგმაში, როგორც მიზანი/ამოცანები/გამოწვევები და უნდა დაისახოს მათი გადაჭრის გზები.
7. სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმის შემუშავება იწყება უნივერსიტეტის თითოეული ფაკულტეტიდან, სტრუქტურული ერთეულიდან, სტუდენტური თვითმმართველობიდან და სხვა სტუდენტური გაერთიანებებიდან, პროცესში ჩართულები არიან დამსაქმებლები, კურსდამთავრებულები, საზოგადოების აქტიური წევრები, არასამთავრობო ორგანიზაციები და სხვა. დოკუმენტი ერთობლივი ფორმულირებით ყალიბდება ადმინისტრაციის ყველა რგოლის უშუალო ჩართულობით და მტკიცდება აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით.
8. აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით იქმნება სამუშაო ჯგუფი, რომელიც მუშაობს დოკუმენტზე და აკადემიური საბჭოს მიერ განსაზღვრულ ვადაში წარუდგენს აკადემიური საბჭოს.

**სამუშაო ჯგუფმა უნდა:**

- ა) შექმნას დაგეგმვის პროცესის მონახაზი;
  - ბ) გაანაწილოს პასუხისმგებლობის სფეროები სამუშაო ჯგუფის წევრებს შორის;
  - გ) აკუმულირება მოახდინოს პროცესში ჩართულ სხვადასხვა სტრუქტურული რგოლიდან წამოსულ ინფორმაციას;
  - დ) შექმნას დოკუმენტის სამუშაო ვერსია და დაურიგოს ყველა მონაწილე რგოლს კომენტარისათვის;
  - დე) მოახდინოს საერთო განხილვა არსებული მოსაზრებების გასაცნობად;
  - ე) ჩამოაყალიბოს საბოლოო ვერსია შეჯერებული მოსაზრებების საფუძველზე და შესაბამისი პროცედურების წესის დაცვით მისცეს მსვლელობა დასამტკიცებლად.
9. დოკუმენტი უნდა მოიცავდეს შვიდწლიან სტრატეგიულ განვითარების გეგმას კონკრეტულ დროში გაწერილს.

10. შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმას თან ახლავს სამწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელშიც მოცემულია განხორციელების ვადები, შესრულების კრიტერიუმები და საჭირო რესურსები.
11. უნივერსიტეტის შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა და სამწლიანი სამოქმედო გეგმა უნდა ასახავდეს მისიით განსაზღვრული მიზნების ეტაპობრივად შესრულების გზებს.
12. უნივერსიტეტის შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა და სამწლიანი სამოქმედო გეგმა უნდა იყოს რეალისტური, მიღწევადი იმ დროში, რაც მითითებულია დოკუმენტში.
13. აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით იქმნება სტრატეგიული განვითარების გეგმის შესრულებაზე/შეფასებაზე პასუხისმგებელი მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც ყოველწლიურად აწარმოებს მონიტორინგს/შეფასებას სამწლიანი სამოქმედო გეგმით და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული მიზნების/ამოცანების შესრულებაზე. შეიმუშავებს რეკომენდაციებს გამოვლენილი პრობლემების აღმოფხვრის მიზნით (ასეთის არსებობის შემთხვევაში). აღნიშნული ჯგუფი ანგარიშვალდებულია აკადემიური საბჭოს წინაშე და ყოველწლიურად წარუდგენს დასკვნას სტრატეგიული განვითარების გეგმით გათვალისწინებული მიზნების/ამოცანების შესრულების საკითხებზე.
14. აკადემიური საბჭო, მონიტორინგის/შეფასების ჯგუფის დასკვნის საფუძველზე, უფლებამოსილია მოახდინოს ადეკვატური რეაგირება ან, გამოვლენილი პრობლემების აღმოფხვრის მიზნით, ცვლილება შეიტანოს სამოქმედო/სტრატეგიული განვითარების გეგმაში.

### **მუხლი 3. წესში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა**

1. წესში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოების გადაწყვეტილებით.
2. წესი ძალაშია დამტკიცებისთანავე.

**უნივერსიტეტის რექტორი:**

**/ ირმა შიოშვილი/**